საგარანტიო პირობები:

• წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს 24 (ოცდაოთხი) თვიან, ოფიციალურ, საგარანტიო ბარათს, რომელიც თან მოჰყვება მყიდველის მიერ შეძენილ **Dyson**-ის პროდუქციას;

• საგარანტიო ბარათის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ სპეციალურად მითითებულ ადგილებზე მყიდველისა და გამყიდველის მიერ ორმხრივი ხელმოწერისა და გამყიდველის მიერ სპეციალურად მითითებულ ადგილზე ბეჭდის დასმის შემდეგ;

• საგარანტიო ბარათით გათვალისწინებული მომსახურების მისაღებად მყიდველმა სერვის ცენტრს უნდა წარუდგინოს შეძენილი პროდუქტი, შეფუთვასთან, ორიგინალ კომპლექტაციასთან და სრულად შევსებულ, წინამდებარე საგარანტიო ბარათთან ერთად;

• თუ პროდუქტს აღენიშნება ქარხნული წუნი/დეფექტი შეძენიდან პირველი 5 (ხუთი) დღის განმავლობაში, მყიდველი ვალდებულია მიმართოს სერვის ცენტრს და ქარხნული წუნის/დეფექტის დადასტურების შემდეგ, შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, პროდუქტი შეიცვლება ახლით, ხოლო აღნიშნული პერიოდის შემდეგ, საგარანტიო ვადის ამოწურვამდე, პროდუქტი დაექვემდებარება შეკეთებას;

• თუ საგარანტიო პერიოდში სერვის ცენტრის დასკვნის მიხედვით პროდუქტი 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის განმავლობაში არ ექვემდებარება შეკეთებას, იგი გამყიდველის მიერ შეიცვლება იდენტური მოდელით, მისი არარსებობის შემთხვევაში კი გამყიდველი ვალდებულია მყიდველს მინიმუმ იმავე ღირებულების ალტერნატიული მოდელი შესთავაზოს;

• თუ საგარანტიო მომსახურების პირობების ფარგლებში გამყიდველი მყიდველს წუნიანი/დეფექტური პროდუქტის მაგივრად შესთავაზებს პროდუქტს, რომლის ღირებულებაც მეტია შეძენილი პროდუქტის ღირებულებაზე, მათ ღირებულებებს შორის სხვაობას ანაზღაურებს მყიდველი.

საგარანტიო მომსახურება არ სრულდება:

• ფიზიკურად დაზიანებულ (გატეხილ, დაკაწრულ, გაბზარულ, დამწვარ, დამდნარ) პროდუქტზე;

• თვითნებურად შეკეთებულ პროდუქტზე, ან პროდუქტზე, რომელსაც თვითნებური შეკეთების მცდელობა აღენიშნება

• პროდუქტზე, რომელზეც არ იკითხება მაიდენტიფიცირებელი მონაცემები, სერიული ნომერი და/ან მოდელის დასახელება;

• დენის ძაბვის ცვალებადობის გამო პროდუქტის მწყობრიდან გამოსვლის და/ან დენის წყაროსთან პროდუქტის არასწორი მიერთების შემთხვევაში;

• პროდუქტის ინსტრუქციაში მითითებული და კომპლექტში მოყოლილი ადაპტერის, კაბელის ან და სხვა აქსესუარის მაგივრად სხვა მსგავსი საშუალებით ელექტრო მოწყობილობის ჩართვით გამოწვეული დაზიანების არსებობის შემთხვევაში;

• კომპლექტაციაში არსებულ აქსესუარებზე;

• საგარანტიო მომსახურების ბარათის დაკარგვის, მფლობელის მიერ ბარათში შესწორების შეტანის, ბარათზე ბეჭდის უქონლობის, სერიული ნომრის გადასწორების, ან ორმხრივად ხელმოწერის არ არსებობის შემთხვევაში.

მომსახურე სერვის ცენტრი:

„ტექნოლაინი“
თბილისი: ს. ცინცაძის 26, 0322304080
ბათუმი: ჭავჭავაძის 21 და
დემეტრე თავდადებულის კვეთა, 557082332
ქუთაისი: ჭავჭავაძის 67 (ს/ც გრანდმოლი), 591082312
ზუგდიდი: კოსტავას 28, 555412312

ოფიციალური დისტრიბუტორი:

შპს „ჯეოტეკ დისტრიბუცია“ - ს/კ: 202453665
info@geotecktd.com
+995 32 2 560 777

Geoteck Distribution LTD.